სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევი საკონკურსო საბჭო

დ ა ს კ ვ ნ ა

საკონკურსო წინადადებათა შეფასების თაობაზე

ქ.თბილისი **7 აგვისტო 2026 წ.**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისიის“) 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილებით დამტკიცებული „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულებისა“ და „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცანტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ კომისიის 2026 წლის 18 ივნისის N გ-26-10/275 გადაწყვეტილების შესაბამისად, საკონკურსო საბჭო აღნიშნავს:
2026 წლის 28 ივლისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შერჩევის მიზნით, (მისამართი ქ.თბილისი, 0144, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №59/ლეხ კაჩინსკის ქუჩა №4) გაიმართა საკონკურსო საბჭოს პირველი სხდომა.
2026 წლის 28 ივლისის სხდომას ესწრებოდა საკონკურსო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:
ა) ალექსანდრე ქარუმიძე - საკონკურსო საბჭოს თავმჯდომარე, კომისიის აპარატი, სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

ბ) ციალა უჯმაჯურიძე - წევრი, საკონკურსო საბჭოს მდივანი, კომისიის აპარატი, სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის ტექნოლოგიის ჯგუფის წამყვანი სპეციალისტი;

გ) მიხეილ ჯღამაძე - წევრი, კომისიის აპარატი, სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის ტექნოლოგიის ჯგუფის უფროსი;

დ) თამარ გოშუა - წევრი, კომისიის აპარატი, იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის ჯგუფის მთავარი სპეციალისტი;

ე) დავით ოდიშარია - წევრი, კომისიის აპარატი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;

ვ) დავით ძიძიგური- წევრი, შპს „მაგთიკომი“;

ზ) კახა სანაშვილი - წევრი, შპს „ახალი ქსელები“;

თ) თეა ტყეშელაშვილი - წევრი, სს „სილქნეტი“;

ი) ლევან დათუნაშვილი - წევრი, შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია";

2026 წლის 28 ივლისის სხდომაზე საკონკურსო საბჭოს განსახილველად გადაეცა ორი საკონკურსო განაცხადი. კერძოდ, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, კომისაში განაცხადები წარმოადგინეს შემდეგმა კომპანიებმა:
ა) „Solutions For Telecom Limited", (ონტარიოს ბიზნეს კორპორაცია, რეგისტრირებული ონტარიო, კანადაში საინდეფიკაციო ნომერი 2205251. იურიდიული მისამართი: 42 Lambert St., Hamilton, Ontario, L8V 4N7 Canada. (კომისიაში რეგისტრაციის თარიღი: 27 ივლისი; შ--26-11/6619; დრო: 11:47 სთ);
ბ) „Mediafon Datapro" (კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებული ლიეტუვაში, საიდენტიფიკაციო ნომერი: 304065322, იურიდიული მისამართი: ოლიმპიელების ქუჩა 1-33, LT-09235, ვილნიუსი, ლიეტუვის რესპუბლიკა) (კომისიაში რეგისტრაციის თარიღი: 27 ივლისი; №შ-26-11/6625 ; დრო: 15:03 სთ.).

საკონკურსო საბჭოს პირველ სხდომაზე, კომისიაში განაცხადების წარმოდგენის რიგითობის მიხედვით, განხილულ იქნა კონკურსში მონაწილე პირთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა კომისიის 2026 წლის 18 ივნისის N გ-26-10/275 გადაწყვეტილებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების (შემდგომში „საკონკურსო პირობები") პირველი, მე-3 და მე-4 მუხლების მოთხოვნებთან.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:
1. „Solutions For Telecom Limited"- ის მიერ კომისიაში წარმოდგენილია:
ა) სათანადო წესით დამოწმებული, კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია ორიგინალ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანით (დაცულია „საკონკურსო პირობების" 3.2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი);
ბ) წარმომადგენლის უფლებამოსილების ნოტარიულად დამოწმებული დამადასტურებელი დოკუმენტი ქართულ და ინგლისურ ენებზე (დაცულია „საკონკურსო პირობების" 3.2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი);
გ) ოფიციალური დადასტურება, რომ კომპანია („Solutions For Telecom Limited") არ წარმოადგენს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირს ან/და მათთან „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის ž[33] პუნქტით გათვალისწინებულ ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირს (დაცულია „საკონკურსო პირობების" პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტი და 3.2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი);
დ) დოკუმენტაცია, რომ კომპანია შეესაბამება „საკონკურსო პირობების" 1.1 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისიწნებულ მოთხოვნებს. კერძოდ, კომპანიის მიერ კომისიაში წარმოდგენილი „საკონკურსო პირობების" 3.2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის დანერგვისა და ადმინისტრირების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
ე) ოფიციალური დადასტურება იმისა, რომ კომპანიის მიერ შემოთავაზებული მონაცემთა ბაზის სისტემის /პროგრამული უზრუნველყოფა არის „Solutions For Telecom Limited „-ის საკუთრება (დაცულია „საკონკურსო პირობების" 3.2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი);
ვ) ოფიციალური დადასტურება, რომ აღნიშნული კომპანია, დამოუკიდებლად, ან/და მათთან ურთიერთდამოკიდებული (აფილირებული) პირები არ იმყოფებიან ლიკვიდაციის ან/და

რეორგანიზაციის პროცესში და მათ ან მათთან ურთიერთდამოკიდებული (აფილირებული) პირების მიმართ არ არის აღძრული გაკოტრების საქმე (დაცულია „საკონკურსო პირობების“ 1.2 პუნქტი);
ზ) საბანკო გარანტია 40000 (ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით, რომელიც ძალაშია 2026 წლის 17 სექტემბრამდე (დაცულია „საკონკურსო პირობების“ 3.2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი);
თ) „საკონკურსო პირობების“ საკვალიფიკაციო და ტექნიკური დოკუმენტაცია დალუქული კონვერტით. ასევე, სატარიფო პირობები დალუქული კონვერტით (დაცულია „საკონკურსო პირობების“ 6.1.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი);
ი) „საკონკურსო პირობების“ 4.8 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების ოფიციალური დადასტურება.

2. „Mediafon Datapro“-ს მიერ კომისიაში წარმოდგენილია:
ა) სათანადო წესით დამოწმებული, კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია ორიგინალ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანით (დაცულია „საკონკურსო პირობების“ 3.2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი);
ბ) წარმომადგენლის უფლებამოსილების ნოტარიულად დამოწმებული დამადასტურებელი დოკუმენტი ქართულ და ინგლისურ ენებზე (დაცულია „საკონკურსო პირობების“ 3.2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი);
გ) ოფიციალური დადასტურება, რომ კომპანია („Mediafon Datapro“) არ წარმოადგენს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირს ან/და მათთან „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 3^{33} პუნქტით გათვალისწინებულ ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირს (დაცულია საკონკურსო პირობების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და 3.2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი);
დ) დოკუმენტაცია, რომ კომპანია შეესაბამება „საკონკურსო პირობების“ 1.1 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისიწნებულ მოთხოვნებს. კერძოდ, კომპანიის მიერ კომისიაში წარმოდგენილი „საკონკურსო პირობების“ 3.2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის დანერგვისა და ადმინისტრირების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
ე) ოფიციალური დადასტურება კომპანიის მიერ შემოთავაზებული მონაცემთა ბაზის სისტემა/პროგრამული უზრუნველყოფა არის „Mediafon Datapro“-ს საკუთრება (დაცულია „საკონკურსო პირობების“ 3.2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი);
ვ) ოფიციალური დადასტურება, რომ აღნიშნული კომპანია, დამოუკიდებლად, ან/და მათთან ურთიერთდამოკიდებული (აფილირებული) პირები არ იმყოფებიან ლიკვიდაციის ან/და რეორგანიზაციის პროცესში და მათ ან მათთან ურთიერთდამოკიდებული (აფილირებული) პირების მიმართ არ არის აღძრული გაკოტრების საქმე (დაცულია „საკონკურსო პირობების“ 1.2 პუნქტი);
ზ) საბანკო გარანტია 40000 (ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით, რომელიც ძალაშია 2026 წლის 22 სექტემბრამდე (დაცულია „საკონკურსო პირობების“ 3.2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი);
თ) „საკონკურსო პირობების“ საკვალიფიკაციო და ტექნიკური დოკუმენტაცია დალუქული კონვერტით. ასევე, სატარიფო პირობები დალუქული კონვერტით (დაცულია „საკონკურსო პირობების“ 6.1.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი);
ი) „საკონკურსო პირობების“ 4.8 პუნქტით გათვალისწინებული ოფიციალური დადასტურება.

საკონკურსო საბჭოს სხდომები გაიმართა 2026 წლის 28 და 29 ივლისს, 3 და 7 აგვისტოს.

საკონკურსო საბჭო აღნიშნავს, რომ საკონკურსო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა 2026 წლის 28 ივლისს, სადაც გაიხსნა მონაწილეთა პირველი დალუქული კონვერტები (საკვალიფიკაციო და ტექნიკური დოკუმენტაცია). წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც მოითხოვდა საკონკურსო საბჭოს წევრების მხრიდან უკეთ შესწავლასა და დისკუსიის გამართვას. კერძოდ: „Solutions For Telecom Limited"-ი წერილში უთითებს, რომ შემოთავაზებული სისტემა (NPC) დანერგილია და ფუნქციონირებს ბოლივიასა და ომანის სასულთნოში. საკონკურსო საბჭომ ერთხმად აღნიშნა, რომ ომანის სასულთნოდან წარმოდგენილი სარეკომენდაციო წერილიდან მკაფიოდ არ იკვეთება კომპანიის მიერ შემოთავაზებული NPC სისტემის დანერგვის გამოცდილება. ამდენად, საბჭოს წევრთა მოთხოვნით, საკონკურსო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით, მსჯელობის გაგრძელება დაიგეგმა 2026 წლის 3 აგვისტოს, 10 საათზე. ხოლო, საკონკურსო საბჭოს გადაწყვეტილებით ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლის თარიღად განისაზღვრა ა/წ 29 ივლისი.

2026 წლის 29 ივლისს განხორციელდა ორივე აპლიკანტის ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლა შპს „სელფი მობაილის", სს „სილქნეტის" და შპს „მაგთიკომის" ტექნიკური სამსახურის წარმომადგენლების მიერ „საკონკურსო პირობების" 6.11 პუნქტის შესაბამისად. ასევე 2026 წლის 29 ივლისს საკონკურსო საბჭოს 9 წევრის მიერ (ალექსანდრე ქარუმიძე, მიხეილ ჯღამაძე, თამარ გოშუა, დავით ოდიშარია, ციალა უჯმაჯურიძე, კახა სანაშვილი, ლევან დათუნაშვილი, თეა ტყეშელაშვილი და დავით ძიძიგური) განხორციელდა ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლა. საკონკურსო საბჭოს წევრები კომპანიების ტექნიკოსებთან ერთად დეტალურად გაეცნენ კონკურსანტების („Solutions For Telecom Limited"-ისა და „Mediafon Datapro"–ს) საკონკურსო წინადადების ტექნიკურ პირობებს. საკონკურსო საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ორივე კომპანიის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური შემოთავაზება შეესაბამება „საკონკურსო პირობების" მე–4 მუხლის მოთხოვნებს.

საკონკურსო საბჭოს 2026 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა 10 წევრი (ალექსანდრე ქარუმიძე, მიხეილ ჯღამაძე, თამარ გოშუა, დავით ოდიშარია, ციალა უჯმაჯურიძე, კახა სანაშვილი, ლევან დათუნაშვილი, თეა ტყეშელაშვილი, ირაკლი ესართია და დავით ძიძიგური) დეტალურად განიხილეს „Solutions For Telecom Limited"-ის მიერ წარმოდგენილი სარეკომენდაციო წერილები იმის დასადასტურებლად, რომ აპლიკანტი ასრულებს „საკონკურსო პირობების" 1.1 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების მოთხოვნებს. საკონკურსო საბჭოს 10 წევრმა კენჭისყრის შედეგად დაადასტურა, რომ ომანის სასულთნოდან წარმოდგენილი სარეკომენდაციო წერილიდან მკაფიოდ არ იკვეთება კომპანიის მიერ შემოთავაზებული NPC სისტემის დანერგვის გამოცდილება და საჭიროებს დაზუსტებას. საბჭოს წევრებმა, ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება „საკონკურსო პირობების" 3.10 პუნქტის შესაბამისად გაეგზავნოს დამაზუსტებელი წერილი „Solutions For Telecom Limited"-ს.

საკონკურო საბჭოს თავმჯდომარის ალექსანდრე ქარუმიძის წერილით (ნომერი გ-26-06/4239 03.08.26) „Solutions For Telecom Limited"-ს ეთხოვა არაუგვიანეს 2026 წლის 6 აგვისტოს 18:00 საათისა წარმოედგინა დამატებითი მტკიცებულება ან ახალი/განახლებული სარეკომენდაციო წერილი ომანის სასულთნოდან, რომელშიც მკაფიოდ და ცალსახად იქნებოდა დადასტურებული, რომ კომპანიას დანერგილი აქვს „Solutions For Telecom Limited"-ის შემუშავებული NPC სისტემა და მოცემული სისტემა ფუნქციონირებს ომანის სასულთნოში.

2026 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე, ასევე განხილულ იქნა და გადაიხედა „Mediafon Datapro" -ს მიერ წარმოდგენილი პირველი და მე-3 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები და მიჩნეულ იქნა, რომ დოკუმენტაცია არ საჭიროებს დაზუსტებას. შემდგომი საკონკურსო საბჭოს სხდომის თარიღად განისაზღვრა 2026 წლის 7 აგვისტო, 11:00 საათი.

საკონკურსო საბჭოს წერილის (ნომერი გ-26-06/4239 03.08.26) პასუხად, 2026 წლის 5 აგვისტოს, „Solutions For Telecom Limited"-მა წარმოადგინა საკონკურსო საბჭოს მიერ განსაზღვრული დაზუსტებული ინფორმაცია (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი N8-26-8/6776), კერძოდ სარეკომენდაციო წერილი ომანის სასულთნოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოდან, რომლითაც დასტურდება, რომ მარეგულირებელსა და „Solutions For Telecom Limited"-თან დაიდო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში დანერგილია „Solutions For Telecom Limited"-ის NCP სისტემა და ფუნქციონირებს ომანის სასულთნოში. ასევე, წარმოადგინა „Expert Software"-ის სარეკომენდაციო წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ „Solutions For Telecom Limited" არის ომანის სასულთნოში დანერგილი NPC პროგრამული პლატფორმის შემქმნელი და მთავარი მიმწოდებელი. „Solutions For Telecom Limited" -ის მიერ შემუშავებული და დანერგილი NPC სისტემა ომანის სასულთნოში ფუნქციონირებს 2025 წლის ოქტომბრიდან.

საკონკურსო საბჭოს 2026 წლის 7 აგვისტოს სხდომას ესწრებოდა საბჭოს 9 წევრი (ალექსანდრე ქარუმიძე, მიხეილ ჯღამაძე, თამარ გოშუა, დავით ოდიშარია, ციალა უჯმაჯურიძე, კახა სანაშვილი, ლევან დათუნაშვილი, თეა ტყეშელაშვილი და დავით ძიძიგური). „საკონკურსო პირობების" 6.10 პუნქტის შესაბამისად, საკონკურსო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 9 წევრი მაინც, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით, არანაკლებ 7 ხმით.

2026 წლის 7 აგვისტოს სხდომაზე, საკონკურსო საბჭოს მიერ საბოლოოდ განხილულ იქნა ორივე კონკურსანტის (Solutions For Telecom Limited"-ი და შპს „Mediafon Datapro") საკვალიფიკაციო და ტექნიკური დოკუმენტაცია.

„Solutions For Telecom Limited"-ის და შპს „Mediafon Datapro"-ს დისკვალიფიკაციას საკონკურსო საბჭოს არცერთმა წევრმა არ დაუჭირა მხარი. შესაბამისად, კომპანიები ერთხმად დაშვებულ იქნენ კონკურსის მომდევნო ეტაპზე.

ამავე სხდომაზე, „საკონკურსო პირობების" 6.25 პუნქტის შესაბამისად, კონკურსში მონაწილე პირთა თანდასწრებით, გაიხსნა საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობები, საკონკურსო განაცხადის კომისიაში რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის რიგითობის მიხედვით. სხდომას ესწრებოდნენ „Solutions For Telecom Limited"-ისა და Mediafon Datapro"- ს წარმომადგელები ჰაზიმ სამოური და ირაკლი გაფრინდაშვილი.

„Solutions For Telecom Limited"-ის მიერ შემოთავაზებული სატარიფო პირობები წარმოდგენილ იქნა „საკონკურსო პირობების" დანართი N1-ს სახით და შეადგინა 147 000,00 (ასორმოცდაშვიდი ათასი) ევრო დღგ-ს გარეშე.

„Mediafon Datapro"-ს მიერ შემოთავაზებული სატარიფო პირობები წარმოდგენილ იქნა „საკონკურსო პირობების" დანართი N1-ს სახით და შეადგინა 186 999,00 (ასოთხმოცდა ექვსი ათას ცხრაასოთხმოცდა ცხრამეტი) ევრო დღგ-ს გარეშე.

წარმოდგენილი სატარიფო პირობები შეესაბამებოდა „საკონკურსო პირობების" მე-5 მუხლის მოთხოვნებს. აღნიშნული პირობები საკონკურსო საბჭოს თავმჯდომარის მიერ გამოქვეყნდა საბჭოს წევრთა გასაცნობად.

„საკონკურსო პირობების“ 6.26 პუნქტის თანახმად, საკონკურსო წინადადების შეფასების ძირითადი კრიტერიუმია საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობები და კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდება კონკურსში მონაწილე ის პირი, რომელიც წარმოადგენს პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის დანერგვისა და მისი ადმინისტრირებისთვის განსაზღვრულ ფიქსირებული წლიური საფასურის ყველაზე ნაკლებ ოდენობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონკურსო საბჭო, კონკურსში მონაწილე პირთა შეფასების შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნავს, რომ სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევ კონკურსში, კომისიის 2026 წლის 18 ივნისის №-26-10/275 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის შესარჩევი „საკონკურსო პირობების“ 6.26 პუნქტის მიხედვით გამარჯვებულად უნდა გამოცხადდეს „Solutions For Telecom Limited“„.

საკონკურსო საბჭოს თავმჯდომარე: ა.ქარუმიძე

საკონკურსო საბჭოს მდივანი: ც.უჯმაჯურიძე